დამტკიცებულია შპს „თაობის“ დირექტორის
27.08.2026 წლის № 01-04/19 *ბრძანებით:*

შპს „თაობა“

შეფასების სისტემის კონცეფცია

მისია

„ჩვენ გვჯერა, რომ მხოლოდ საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარება განაპირობებს მოსწავლის ბედნიერებას და წარმატებას, შესაბამისად მზად ვართ ვაქციოთ სწავლა მოსწავლისთვის საინტერესო პროცესად, გარემოში, სადაც ყველა მიღებული და დაფასებულია, სადაც მოსწავლე შეძლებს იპოვოს საკუთარი თავი.“

ბათუმი · 2026

თავი I. სკოლის საგანმანათლებლო კონცეფცია

მუხლი 1. შესავალი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს „თაობის“ (შემდგომში - სკოლა) შეფასების სისტემის კონცეფცია განსაზღვრავს მოსწავლის სწავლის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების, გააზრების, უკუკავშირის, განმსაზღვრელი შეფასებისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საერთო ჩარჩოს. კონცეფცია ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, ცნებებზე დაფუძნებული კურიკულუმის (Concept-Based Curriculum - CBC) და გაგებით დაგეგმვის (Understanding by Design - UbD) პრინციპებს.
2. სკოლა შეფასებას განიხილავს სწავლა-სწავლების პროცესის ნაწილად და ავითარებს „შეფასება როგორც სწავლა“ (Assessment as Learning) მიდგომას. შეფასების კრიტერიუმი, უკუკავშირი, თვითშეფასება და მტკიცებულებათა ანალიზი მოსწავლეს ეხმარება საკუთარი სწავლის გააზრებასა და მომდევნო ნაბიჯის განსაზღვრაში, ხოლო მასწავლებელს - სასწავლო დიზაინის ადაპტირებაში.
3. კონცეფცია შედგება ოთხი თავისაგან:
    - პირველი თავი განსაზღვრავს შეფასების საგანმანათლებლო საფუძველს და მის კავშირს ცნებებზე დაფუძნებულ სწავლებასთან, სოციალურ კონსტრუქტივიზმსა და კურიკულუმის უკუდაგეგმვასთან.
    - მეორე თავი ადგენს შეფასების მიზანს, ამოცანებს, პრინციპებს, კომპონენტებს, ტიპებს, კრიტერიუმებისა და შეფასების სქემის ფუნქციას.
    - მესამე თავი განსაზღვრავს შეფასების მტკიცებულებებისა და ინსტრუმენტების შექმნისა და გამოყენების ძირითად წესებს.
    - მეოთხე თავი განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მექანიზმებს და მათ კავშირს სკოლის ხარისხის განვითარების ერთიან ციკლთან.

მუხლი 2. ცნებებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლება

1. ცნებებზე დაფუძნებულ კურიკულუმში შეფასების ძირითადი საგანია ის, თუ როგორ იყენებს მოსწავლე ფაქტობრივ და შინაარსობრივ ცოდნას, უნარებსა და ცნებებს ურთიერთობების, კანონზომიერებებისა და პრინციპების გასააზრებლად და განსხვავებულ კონტექსტში გადასატანად.
   ცოდნის ორგანიზება: ფაქტები, მაგალითები და კონკრეტული მასალა ქმნის ცნებითი გააზრების შინაარსობრივ საფუძველს. შეფასება ამოწმებს არა მხოლოდ ინფორმაციის გახსენებას, არამედ იმასაც, რამდენად შეუძლია მოსწავლეს ამ მასალის ორგანიზება, დაკავშირება და მნიშვნელობის ახსნა შესაბამისი საგნობრივი ცნების ჭრილში.
   ცნებითი სქემების განვითარება: ახალი ცოდნა უკავშირდება მოსწავლის წინარე ცოდნასა და არსებულ აზრობრივ სქემებს. შეფასების მტკიცებულებები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, როგორ ღრმავდება ეს კავშირები დროში და როგორ იცვლება მოსწავლის მსჯელობის ხარისხი.
   ტრანსფერზე ორიენტაცია: ფაქტობრივი ცოდნა აუცილებელი საფუძველია, თუმცა გრძელვადიანი შედეგი არის მოსწავლის უნარი, ცნებები, პრინციპები და სააზროვნო მოდელები გამოიყენოს განსხვავებულ და ახალ კონტექსტებში. ამიტომ მაღალი დონის შეფასება მოითხოვს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ახსნას, დასაბუთებას, განზოგადებასა და ტრანსფერს.

კრიტერიუმის ფუნქცია: ცნებითი გააზრების კრიტერიუმი მოსწავლეს აჩვენებს, რა ტიპის აზროვნება და გაგება არის სასწავლო მიზანი. იგი სწავლას აძლევს მკაფიო მიმართულებას, მაგრამ არ განსაზღვრავს მოსწავლის მოტივაციას ან პიროვნულ თვისებებს ქულით.

2. შეფასების ზუსტი ფოკუსირებისთვის გამოიყენება შემდეგი საოპერაციო ცნებები:
   - მაკროკონცეპტი - სკოლის საერთო ზესაგნობრივი სააზროვნო ლინზა და პროფესიული მეტაენის ნაწილი: ფორმა, ფუნქცია, მიზეზ-შედეგობრიობა, ცვლილება, კავშირი, პერსპექტივა, პასუხისმგებლობა და რეფლექსია. მაკროკონცეპტი ეხმარება საკითხის ფართო რაკურსით გააზრებას, მაგრამ არ ანაცვლებს საგნობრივ სამიზნე ცნებას და შეფასების კრიტერიუმის უშუალო საფუძველი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა კონკრეტულ სასწავლო მიზანში რეალურად არის გააქტიურებული.
   - სამიზნე ცნება - საგნის ფარგლებში განსაზღვრული გრძელვადიანი ცნებითი ორიენტირი, რომელიც ორგანიზებას უწევს საგნობრივ ცოდნას და წლიდან წლამდე მზარდი სიღრმით ვითარდება.
   - ქვეცნება - სამიზნე ცნების კონკრეტული საგნობრივი რაკურსი, რომელიც შუალედურ მიზანში განსაზღვრავს, ცნების რომელი ასპექტი აქტიურდება და როგორ უნდა დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმი.

შესაბამისად, შეფასება ფაქტობრივ მასალას არ აუქმებს: იგი ამოწმებს, როგორ ამუშავებს და იყენებს მოსწავლე ამ მასალას ცნებითი გააზრებისა და შესაბამისი კოგნიტური მოქმედებებისათვის.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პარადიგმა - სოციალური კონსტრუქტივიზმი და მისი რეალიზება კლასში

1. სკოლის სწავლა-სწავლების მოდელი ეფუძნება სოციალურ კონსტრუქტივიზმს. მოსწავლე განიხილება როგორც სწავლისა და განვითარების აქტიური სუბიექტი, რომელიც ახალ ცოდნას საკუთარ წინარე გამოცდილებას უკავშირებს და მნიშვნელობას ქმნის კვლევის, დიალოგის, მოქმედების, თანამშრომლობისა და რეფლექსიის გზით. შეფასება ამ პროცესს თან ახლავს და მასწავლებელსა და მოსწავლეს აძლევს ინფორმაციას სწავლის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ნაბიჯის შესახებ.
2. აქტიური შემეცნება და ავთენტურ დავალებაზე მუშაობა: შემოქმედებითი/ავთენტური დავალება შეიძლება იყოს სასწავლო პროცესის ცენტრალური კონტექსტი, რომელშიც მოსწავლე იკვლევს მასალას, ამუშავებს იდეებს, იღებს უკუკავშირს, ცდის ალტერნატივებს და ქმნის ცნებითი გააზრების მტკიცებულებებს. პროდუქტი თავისთავად არ არის შეფასების მიზანი; ფასდება მის მიღმა გამოვლენილი გაგება.
3. წინასწარი გამჭვირვალობა: შუალედური მიზნის დასაწყისში მოსწავლე იცნობს სასწავლო მიზანს, დავალების ძირითად კონტექსტს, შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ხუთდონიან სქემას. ეს საშუალებას აძლევს მას პროცესშივე გამოიყენოს კრიტერიუმი თვითშეფასებისა და ნამუშევრის გაუმჯობესებისთვის.
4. მნიშვნელობის სოციალური კონსტრუირება: საკლასო დიალოგი, დისკუსია, წყაროების ერთობლივი ანალიზი და განსხვავებული პოზიციების განხილვა ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური გაგების გაღრმავებას. თანამშრომლობა არ აუქმებს ინდივიდუალურ ავტორობასა და პასუხისმგებლობას: საბოლოო მტკიცებულებაში უნდა ჩანდეს თითოეული მოსწავლის საკუთარი გაგება.

5. სკაფოლდინგი: მასწავლებელი და თანატოლები ქმნიან დროებით კოგნიტურ და სოციალურ საყრდენებს, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება უფრო რთული სააზროვნო მოქმედებების შესრულებაში. განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს აჩვენებს, რა მხარდაჭერა სჭირდება კონკრეტულ მოსწავლეს ან ჯგუფს და როდის უნდა შემცირდეს ეს მხარდაჭერა დამოუკიდებლობის ზრდასთან ერთად.
6. ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა და ნებელობა/ხასიათის სიმტკიცე სასწავლო პროცესში ვლინდება როგორც მოქმედების რესურსი. ისინი არ ფასდება იზოლირებულ სარეიტინგო კრიტერიუმებად; მასწავლებელი მათზე დაკვირვებას იყენებს სასწავლო დიზაინისა და მოსწავლის მხარდაჭერის გასააზრებლად.
7. მეტაკოგნიცია და თვითრეგულირებული სწავლა: შეფასება მოსწავლეს ეხმარება საკუთარ თავს დაუსვას კითხვები - რას ვიგებ, რა მირთულდება, რა სტრატეგია მუშაობს და რა უნდა შევცვალო. თვითშეფასება და რეფლექსია ეტაპობრივად ზრდის მოსწავლის უნარს, თავად მართოს საკუთარი სწავლის პროცესი.

მუხლი 4. ცნება, სოციალური კონსტრუქტივიზმი და ავთენტური დავალება - ურთიერთკავშირი

1. ცნებითი გააზრება, სოციალური კონსტრუქტივიზმი და ავთენტურ დავალებაზე მუშაობა სკოლის სასწავლო მოდელში ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს. ცნება განსაზღვრავს, რა გაგება უნდა განვითარდეს; სოციალური ინტერაქცია ქმნის ამ გაგების გამოკვლევისა და გადამოწმების შესაძლებლობას; ავთენტური დავალება კი აძლევს მოსწავლეს სივრცეს, მიღებული გაგება მოქმედებაში გამოიყენოს და მტკიცებულებით წარმოაჩინოს.
2. ფაქტობრივი ცოდნა და პირდაპირი ინსტრუქციაც შეიძლება იყოს საჭირო სასწავლო რესურსი, თუმცა ისინი მიზანს მაშინ ემსახურება, როდესაც მოსწავლე ინფორმაციას აკავშირებს, აანალიზებს, ხსნის და იყენებს ცნებითი საკითხის გადასაჭრელად. ამიტომ არც ერთი მეთოდი არ განიხილება თვითმიზნად; მისი ღირებულება განისაზღვრება იმით, რამდენად ეხმარება მოსწავლეს სასურველი გაგების მიღწევაში.
3. ამ ურთიერთკავშირის სამუშაო ლოგიკა ასეთია:
   ა) ავთენტური დავალება ქმნის პრობლემურ ან როლურ კონტექსტს, რომელშიც ფაქტობრივი მასალის გამოყენებას აზრი და მიზანი აქვს;
   ბ) სოციალური კონსტრუირება ეხმარება მოსწავლეს განსხვავებული პერსპექტივების, არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეჯერებით საკუთარი ინტერპრეტაციის შემოწმებასა და გაღრმავებაში;
   გ) ცნებები და მყარი გაგებები აძლევს ამ გამოცდილებას განზოგადებულ მნიშვნელობას და ქმნის შემდგომ ტრანსფერზე ორიენტირებულ შედეგს.
4. ეს სამი ელემენტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, თუმცა პრაქტიკაში მათი ფორმა და ინტენსივობა შეიძლება განსხვავდებოდეს საგნის, ასაკის, მასალისა და სასწავლო მიზნის მიხედვით.

მუხლი 5. სასწავლო პროგრამის აგება / კურიკულუმის შემუშავება

1. უკუდაგეგმვა (Backward Design): კურიკულუმისა და შეფასების დაგეგმვა იწყება სასურველი გრძელვადიანი შედეგის განსაზღვრით. შემდეგ განისაზღვრება ამ შედეგის შესაბამისი

მტკიცებულებები და შეფასების კრიტერიუმები, ხოლო ამის შემდეგ - ავთენტური დავალება, სასწავლო ეტაპები, მასალა, სკაფოლდინგი და რესურსები.

2. შინაარსის შერჩევა: ფაქტობრივი და თემატური მასალა შეირჩევა იმ მოცულობითა და სიღრმით, რომელიც საჭიროა სამიზნე ცნებებისა და მყარი გაგებების გასავითარებლად. „ნაკლებია მეტი“ ამ კონტექსტში ნიშნავს შინაარსის მიზნობრივ შერჩევას და არა საგნობრივი სიღრმის შემცირებას.
3. დიფერენცირება: საერთო ცნებითი მიზნის შენარჩუნების პირობებში შეიძლება განსხვავდებოდეს მხარდაჭერის ინტენსივობა, რესურსი, სამუშაო გზა, ტემპი ან პროდუქტის ფორმა. დიფერენცირება არ ცვლის შეფასების ძირითად ცნებით ფოკუსს, თუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სხვა რამეს არ განსაზღვრავს.
4. კურიკულუმისა და შეფასების ინსტრუმენტების განვითარება მიმდინარეობს სკოლის ერთიანი წლიური განვითარების ციკლის ფარგლებში. ივნისის ანალიზი, ზაფხულის მიზნობრივი რე-დიზაინი და სასწავლო წლის დასაწყისის ვალიდაცია ქმნის ერთმანეთთან დაკავშირებულ პროცესს; დამატებითი სამუშაო ფორმა გამოიყენება მხოლოდ რეალური პროფესიული საჭიროების შემთხვევაში.

თავი II. შეფასების ცნებითი ნაწილი

მუხლი 6. შეფასების მიზანი

1. შეფასება სკოლაში სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია. მისი მიზანია, ერთი მხრივ, მოსწავლეს დაეხმაროს ცნებითი გააზრების განვითარებასა და საკუთარი სწავლის მართვაში, ხოლო მეორე მხრივ, შექმნას მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც მასწავლებელი და პროფესიული გუნდი აანალიზებს სასწავლო დიზაინის ეფექტიანობას.
2. შეფასების სამი ფუნქციური ხედვა ერთმანეთის შემავსებლად გამოიყენება:
   „სწავლის შეფასება“ (Assessment of Learning) - აღწერს სასწავლო პერიოდის ან შუალედური მიზნის ბოლოს მიღწეულ შედეგს და უზრუნველყოფს საჭირო ანგარიშვალდებულებას;
   „შეფასება სწავლისთვის“ (Assessment for Learning) - აწვდის მასწავლებელსა და მოსწავლეს ინფორმაციას მიმდინარე პროცესზე და ეხმარება სწავლების/სწავლის ადაპტირებაში;
   „შეფასება როგორც სწავლა“ (Assessment as Learning) - თვით შეფასების პროცესს აქცევს სწავლის რესურსად: მოსწავლე კრიტერიუმის, თვითშეფასებისა და უკუკავშირის საშუალებით იაზრებს და არეგულირებს საკუთარ სწავლას.
3. სკოლის მოდელში „შეფასება როგორც სწავლა“ წარმოადგენს გამჭოლ პრინციპს, რომელიც აერთიანებს მიმდინარე განმავითარებელ და საბოლოო განმსაზღვრელ ფუნქციებს.
   - შეფასება მიმდინარეობს სასწავლო პროცესის განმავლობაში და არა მხოლოდ მის დასრულების შემდეგ;
   - მასწავლებლის პროფესიულ განსჯასთან ერთად მოსწავლეს აქვს თვითშეფასებისა და რეფლექსიის აქტიური როლი;
   - შეფასება ამოწმებს ცოდნის ფუნქციურ გამოყენებასა და ცნებით გააზრებას და არა მხოლოდ ინფორმაციის გახსენებას.
4. ამ მიზანს ორი ურთიერთდაკავშირებული ფუნქცია აქვს:
   პირველი - მოსწავლის სწავლის მხარდაჭერა: მტკიცებულება და უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეს გააცნობიეროს მიმდინარე მდგომარეობა, სასურველი მიმართულება და მომდევნო ნაბიჯი;

მეორე - კურიკულუმისა და სწავლების განვითარება: მოსწავლეთა მტკიცებულებები მასწავლებელსა და პროფესიულ გუნდს აძლევს საფუძველს, შეაფასონ დავალებების, კრიტერიუმების, რესურსების, სკაფოლდინგისა და სასწავლო ნაბიჯების შესაბამისობა.

მუხლი 7. შეფასების ამოცანები

1. მიზნის მისაღწევად შეფასების სისტემა ასრულებს შემდეგ ამოცანებს:
   ამოცანა 1 - ცნებითი გააზრების სურათის შექმნა: შეფასება აჩვენებს, რა ხარისხით ავლენს მოსწავლე კონკრეტულ კრიტერიუმთან დაკავშირებულ გაგებას და როგორ იცვლება ეს გაგება სასწავლო ციკლის განმავლობაში.
   ამოცანა 2 - სწავლის მხარდაჭერა: მასწავლებელი მტკიცებულებებზე დაყრდნობით ადგენს, სად ჩნდება სირთულე ან ახალი შესაძლებლობა და ამის შესაბამისად არჩევს უკუკავშირს, სკაფოლდინგს ან სასწავლო პროცესის ცვლილებას.
   ამოცანა 3 - მეტაკოგნიციის განვითარება: კრიტერიუმთან მუშაობა, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და რეფლექსია მოსწავლეს ეხმარება საკუთარი სააზროვნო პროცესისა და სწავლის სტრატეგიების გააზრებაში.
   ამოცანა 4 - პედაგოგიური დიზაინის ანალიზი: მოსწავლეთა მტკიცებულებების საერთო სურათი გამოიყენება იმის გასააზრებლად, რამდენად შესაბამისი იყო კრიტერიუმი, დავალება, სასწავლო ნაბიჯები, რესურსები და მხარდაჭერა.
   ამოცანა 5 - მტკიცებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაცია: შეფასების ინფორმაცია უნდა იყოს საკმარისად მკაფიო, რომ მოსწავლემ, მშობელმა და შესაბამისმა პროფესიულმა პირებმა შეძლონ მიმდინარე პროგრესის, მიღწეული დონისა და შემდგომი საჭიროების გაგება.

მუხლი 8. შეფასების პრინციპები

1. სკოლაში შეფასება ხორციელდება ხუთი ურთიერთდაკავშირებული პრინციპის დაცვით. მათი ფუნქციაა შეფასების ინსტრუმენტის, პროცესისა და მიღებული დასკვნის ხარისხის ერთიანი ჩარჩოს შექმნა.
2. **ვალიდურობა**
   ზოგადი სტანდარტი: შეფასების ინსტრუმენტი ზომავს იმ გაგებასა და მოქმედებას, რომლის შეფასებაც წინასწარ არის განსაზღვრული.
   ცნებებზე დაფუძნებულ კურიკულუმში ვალიდურობა ნიშნავს, რომ შეფასების კრიტერიუმი და შესაბამისი მტკიცებულება მიმართულია ცნებით გააზრებაზე, საგნობრივი მასალის აზრიან გამოყენებასა და შესაბამის კოგნიტურ მოქმედებებზე. ფაქტობრივი ცოდნა შეიძლება შეფასების აუცილებელი ნაწილი იყოს, მაგრამ მხოლოდ მისი მექანიკური გახსენება ვერ წარმოადგენს ცნებითი კრიტერიუმის სრულ მტკიცებულებას. ასევე არ ერევა ცნებითი შეფასების ქულაში ნამუშევრის დეკორატიული მხარე, ქცევა, დასწრება ან ძალისხმევა, თუ ისინი თავად არ არის შესაბამისი სასწავლო მიზნის ნაწილი.
   ვალიდურობა მოწმდება სამ დონეზე:
   კრიტერიუმის ვალიდურობა: კრიტერიუმში ჩანს აქტიური სამიზნე ცნება/ქვეცნება, შესაბამისი მასალა და ის კოგნიტური მოქმედება, რომლის მტკიცებულებაც მოსწავლემ უნდა შექმნას;
   დავალების ვალიდურობა: დავალება ქმნის ისეთ კონტექსტს, სადაც მოსწავლეს კრიტერიუმით განსაზღვრული გაგების გამოყენება რეალურად სჭირდება;

სქემის ვალიდურობა: ხუთდონიანი სქემა ერთმანეთისგან განასხვავებს არა პროდუქტის გარეგნულ ხარისხს, არამედ კონკრეტული კრიტერიუმის გააზრების სიღრმეს.

3. **გამჭვირვალობა**

ზოგადი სტანდარტი: მოსწავლე წინასწარ იცნობს სასწავლო მიზანს, შეფასების კრიტერიუმს და შესაბამის ხუთდონიან სქემას.

გამჭვირვალობა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, კრიტერიუმი პროცესშივე გამოიყენოს საკუთარი სწავლის მართვისთვის და არა მხოლოდ საბოლოო ქულის გასაგებად.

შინაარსობრივი გამჭვირვალობა: შუალედური მიზნის დასაწყისიდან მოსწავლემ იცის, რა საკითხზე მუშაობს, რა გაგებაა მოსალოდნელი, რა მტკიცებულება უნდა შექმნას და როგორ განისაზღვრება თითოეული კრიტერიუმის გააზრების დონე;

პროცესის გამჭვირვალობა: განმსაზღვრელი შეფასების დრო, ფორმა და ძირითადი პირობები წინასწარ არის ცნობილი; ცვლილების შემთხვევაში მოსწავლე დროულად იღებს შესაბამის ინფორმაციას;

მშობლის ინფორმირებულობა: მშობელს შესაბამისი საკომუნიკაციო არხით აქვს წვდომა შეფასების კრიტერიუმებზე, განმავითარებელ უკუკავშირსა და განმსაზღვრელ შედეგებზე იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მოსწავლის პროგრესის გასაგებად.

გამჭვირვალობის მიზანია მოსწავლის თვითრეგულაციის, ნდობისა და შეფასების სამართლიანი აღქმის მხარდაჭერა.

4. **სამართლიანობა**

ზოგადი სტანდარტი: ყველა მოსწავლეს აქვს სასწავლო მიზნის მიღწევისა და საკუთარი გაგების წარმოჩენის რეალური და სამართლიანი შესაძლებლობა.

სამართლიანობა მოიცავს საერთო ცნებით ფოკუსსა და საჭიროების შესაბამის დიფერენცირებას.

სტრუქტურული სამართლიანობა: მოსწავლეები მუშაობენ წინასწარ ცნობილ და თანმიმდევრულ კრიტერიუმებზე; გარემო, დრო და ინსტრუქცია ორგანიზებულია ისე, რომ არასასწავლო ფაქტორებმა შეფასება უსამართლოდ არ განსაზღვროს;

შესაძლებლობის სამართლიანობა: საერთო ცნებითი მიზნის შენარჩუნების პირობებში შეიძლება განსხვავდებოდეს პროდუქტის ფორმა, მხარდაჭერა, რესურსი, დრო ან სხვა ფუნქციური პირობა მოსწავლის საჭიროებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით.

სამართლიანობა არ ნიშნავს ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი გზის დაკისრებას; იგი ნიშნავს ერთსა და იმავე სასწავლო მიზანთან მისასვლელად და მისი გააზრების წარმოსაჩენად შესაბამის პირობებს.

5. **ობიექტურობა**

ზოგადი სტანდარტი: მსგავსი ხარისხის მტკიცებულება მსგავსი სტანდარტით ფასდება, ხოლო განსხვავებული შეფასება დასაბუთებულია კრიტერიუმის ენით.

ცნებითი შეფასება მოითხოვს პროფესიულ ინტერპრეტაციას. ამიტომ ობიექტურობა მიიღწევა არა ინტერპრეტაციის გაუქმებით, არამედ მკაფიო კრიტერიუმებით, საერთო სქემით, მტკიცებულებებითა და პროფესიული შეთანხმებულობით.

საერთო კრიტერიუმი: შესაბამის საგნობრივ გუნდში შეთანხმებული კრიტერიუმი და სქემა ქმნის ერთიან საზომს კონკრეტული შუალედური მიზნისთვის;

მოდერაცია: საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები დამოუკიდებლად აფასებენ ერთი და იმავე ან ეკვივალენტურ მტკიცებულებას, ადარებენ გადაწყვეტილებებს და განიხილავენ განსხვავების მიზეზებს;

ვერიფიკაცია: შეფასების სისტემის ანალიზი ხორციელდება კოლეგიურ სივრცეებში და საკოორდინაციო გუნდის ფასილიტაციით. გუნდი არ ანაცვლებს მასწავლებლის პროფესიულ განსჯას და არ მოქმედებს როგორც ვერტიკალური შემფასებელი სამსახური.

ობიექტურობა ნიშნავს შეთანხმებული სტანდარტის თანმიმდევრულ გამოყენებას და პროფესიული განსხვავების მტკიცებულებით დასაბუთებას.

6. **სანდოობა**

ზოგადი სტანდარტი: შეფასების დასკვნა ეფუძნება საკმარის, შესაბამის და ხელმისაწვდომ მტკიცებულებებს.

სანდოობა იქმნება მტკიცებულებათა ხარისხის, მრავალფეროვნებისა და მათი კრიტერიუმთან პირდაპირი კავშირის ერთობლიობით.

ტრიანგულაცია: შუალედური მიზნის განმავლობაში ინფორმაცია გროვდება რამდენიმე წყაროდან - დაკვირვებიდან, დიალოგიდან/დისკუსიიდან, შუალედური ნამუშევრებიდან, წერილობითი ან ზეპირი მტკიცებულებებიდან და საბოლოო პროდუქტიდან. კონკრეტული კრიტერიუმისთვის გამოიყენება მხოლოდ ის წყაროები, რომლებიც მის გააზრებას რეალურად აჩვენებს.

დოკუმენტირება: განმსაზღვრელი შეფასება უნდა იყოს დაკავშირებული იდენტიფიცირებად მტკიცებულებასთან. განმავითარებელი შეფასებისთვის დოკუმენტირების მოცულობა განისაზღვრება პრაქტიკული საჭიროებით; ყოველი ზეპირი დაკვირვების ცალკე ფორმალურად დაფიქსირება სავალდებულო არ არის.

კრიტერიუმთან შესაბამისობა: მტკიცებულება შეფასებისთვის რელევანტურია მაშინ, როდესაც იგი საშუალებას გვაძლევს კონკრეტული კრიტერიუმის გააზრების დონეზე პროფესიული დასკვნა გავაკეთოთ.

სანდოობის მთავარი კითხვა არის: საკმარისად და თანმიმდევრულად აჩვენებს თუ არა შეგროვებული მტკიცებულებები მოსწავლის რეალურ გააზრებას?

7. ხუთივე პრინციპი ერთობლივად მოწმდება ვალიდაციისა და ვერიფიკაციისას. რომელიმე პრინციპის დარღვევა შეიძლება გახდეს ინსტრუმენტის, პროცესის ან მიღებული დასკვნის გადახედვის საფუძველი.

მუხლი 9. შეფასების კომპონენტები

1. სკოლაში შეფასება ოთხ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს მოიცავს. ისინი არ წარმოადგენს ცალკე ადმინისტრაციულ ეტაპებს და სასწავლო პროცესში ერთმანეთს ხშირად ემთხვევა.

   პირველი კომპონენტი - მტკიცებულების აღმოჩენა და გააზრება: მასწავლებელი სხვადასხვა წყაროს საშუალებით აკვირდება მოსწავლის სწავლის მიმდინარეობას და ადგენს:

   - ცნებითი გააზრების მიმდინარე ხარისხს კონკრეტულ კრიტერიუმთან მიმართებით;
   - იმ ადგილს და მიზეზს, სადაც მოსწავლეს დამატებითი მხარდაჭერა ან ახალი გამოწვევა სჭირდება;
   - ფუნქციური უნარების გამოვლენის დინამიკას იმ მიზნით, რომ გააანალიზოს სასწავლო დიზაინი და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს მხარდაჭერა.

   მეორე კომპონენტი - უკუკავშირი და სასწავლო მოქმედება: მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს კრიტერიუმზე დაფუძნებულ უკუკავშირს, რომელიც აღწერს არსებულ მტკიცებულებას და მიუთითებს შესაძლო მომდევნო ნაბიჯზე. უკუკავშირის მნიშვნელობა სრულდება მაშინ, როდესაც მოსწავლეს ეძლევა მისი გამოყენების რეალური შესაძლებლობა.

მესამე კომპონენტი - თვითშეფასება და მეტაკოგნიცია: მოსწავლე საკუთარ მტკიცებულებას ადარებს კრიტერიუმს, იაზრებს გამოყენებულ სტრატეგიებსა და მიღებულ უკუკავშირს და განსაზღვრავს, რა უნდა შეინარჩუნოს ან შეცვალოს. ურთიერთშეფასება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ პროცესის მხარდასაჭერად, მაგრამ თანატოლი არ ანიჭებს ოფიციალურ განმსაზღვრელ ქულას.

მეოთხე კომპონენტი - მასწავლებლის თვითრეფლექსია და სასწავლო დიზაინის ანალიზი: მოსწავლეთა მტკიცებულებების საერთო სურათი მასწავლებელს აძლევს საფუძველს, გააანალიზოს დავალების, კრიტერიუმის, სასწავლო ნაბიჯების, რესურსებისა და სკაფოლდინგის ეფექტიანობა. მნიშვნელოვანი მიგნებები შესაბამის კოლეგიურ სივრცეში უკავშირდება კურიკულუმის შემდგომ განვითარებას.

2. ეს ოთხი კომპონენტი შეფასების სამუშაო ფუნქციებია და არა ხარისხის მართვის პარალელური ციკლი. მათი მიგნებები ერთიანდება სკოლის ხუთეტაპიან ხარისხის განვითარების ციკლში.

მუხლი 10. შეფასების ტიპები

1. **ერთი კრიტერიუმი - ორი ფუნქცია:** თითოეულ შუალედურ მიზანში ერთი და იგივე ცნებითი გააზრების კრიტერიუმი გამოიყენება როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ რეჟიმში. კრიტერიუმი არ იყოფა ორ დამოუკიდებელ ვერსიად; იცვლება მისი გამოყენების დანიშნულება.
   განმავითარებელ რეჟიმში კრიტერიუმი არის „სარკე“ - მოსწავლე და მასწავლებელი მას იყენებენ მიმდინარე გააზრების, სირთულისა და მომდევნო ნაბიჯის დასანახად;
   განმსაზღვრელ რეჟიმში იგივე კრიტერიუმი არის „საზომი“ - შუალედური მიზნის ბოლოს არსებული მტკიცებულებების საფუძველზე ფიქსირდება მოსწავლის მიერ მიღწეული გააზრების დონე და, V კლასიდან, შესაბამისი ქულა.
2. ერთი კრიტერიუმის ორი ფუნქცია ზრდის გამჭვირვალობას: მოსწავლე მთელი სასწავლო ციკლის განმავლობაში მუშაობს იმავე ხარისხობრივ მოლოდინზე, რომლის მიხედვითაც ბოლოს ფასდება მისი მიღწევა.
3. სკოლაში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ორივე ეფუძნება იმავე კრიტერიუმებსა და ხუთდონიან სქემას, თუმცა განსხვავდება დანიშნულებით, პერიოდულობითა და შედეგის დაფიქსირების ფორმით.
4. განმავითარებელი შეფასება მიემართება სწავლის პროცესს და ემსახურება ცნებითი გააზრების განვითარებას. იგი მიმდინარეობს მთელი შუალედური მიზნის განმავლობაში დაკვირვების, დიალოგის, შუალედური ნამუშევრების, თვითშეფასებისა და სხვა შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე. საჭიროებისამებრ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოკლე წერითი ან ზეპირი შემოწმებაც, თუ მისი მიზანი სწავლის მხარდაჭერაა.
5. განმავითარებელ რეჟიმში მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს სამ მიმართულებაზე:
   კონკრეტული კრიტერიუმის გააზრების მიმდინარე დონესა და მის ცვლილებაზე;
   იმ სააზროვნო ან საგნობრივ სირთულეზე, რომელიც აფერხებს მოსწავლის წინსვლას;
   ფუნქციური უნარების გამოვლენის დინამიკაზე, როგორც სასწავლო გარემოსა და დიზაინის შესახებ დამატებით მტკიცებულებაზე. ფუნქციური უნარები ცალკე სარეიტინგო ქულად არ გარდაიქმნება, თუ კონკრეტული საგნობრივი სტანდარტი მათ უშუალოდ არ განსაზღვრავს შეფასების საგნად.
6. მოსწავლე განმავითარებელი შეფასების აქტიური მონაწილეა: იგი იყენებს კრიტერიუმს თვითშეფასებისთვის, იღებს და ამუშავებს უკუკავშირს, მონაწილეობს ურთიერთშეფასებაში და რეფლექსიის საფუძველზე ცვლის საკუთარ სამუშაო სტრატეგიას.

7. განმავითარებელი უკუკავშირი შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი:
   ზეპირი უკუკავშირი გამოიყენება უშუალოდ სასწავლო პროცესში - მასწავლებელი აკვირდება სადისკუსიო და საყრდენ შეკითხვებზე მოსწავლის პასუხებს, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის მიმდინარეობასა თუ ნამუშევრის შუალედურ ეტაპებს და მოსწავლეს აძლევს კრიტერიუმზე ორიენტირებულ, მიმართულების მიმცემ კომენტარს. ზეპირი უკუკავშირი დიალოგური ბუნებისაა;
   წერილობითი უკუკავშირი გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა მოსწავლისთვის უფრო მდგრადი ორიენტირის დატოვება. მისი სტრუქტურა შეიძლება მოიცავდეს:
   - ცნებითი გააზრების აღწერას კონკრეტული კრიტერიუმის ენით;
   - სასწავლო პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი სტრატეგიის ან სირთულის აღწერით დაკვირვებას;
   - მომდევნო ნაბიჯს, რომელიც მოსწავლეს ეხმარება იგივე ან შემდგომ სასწავლო კონტექსტში გაგების გაღრმავებაში.
8. განმავითარებელი შეფასება არ ქმნის დამოუკიდებელ ოთხსაფეხურიან ხარისხის ციკლს. პრაქტიკაში მასწავლებელი განმეორებით აკვირდება მტკიცებულებას, ახდენს მის ინტერპრეტაციას კრიტერიუმის მიხედვით, აძლევს უკუკავშირს და საჭიროებისამებრ ცვლის სასწავლო მხარდაჭერას.
   დაკვირვება პასუხობს კითხვას: რა ჩანს მოსწავლის მიმდინარე მტკიცებულებაში კრიტერიუმთან მიმართებით?
   ინტერპრეტაცია პასუხობს კითხვას: რა ხარისხის გააზრება ჩანს და რა ტიპის მხარდაჭერა ან გამოწვევა სჭირდება მოსწავლეს?
   უკუკავშირი შეიძლება მიემართებოდეს ნამუშევარს, სამუშაო პროცესს ან თვითრეგულაციას:
   - ნამუშევარზე უკუკავშირი აზუსტებს, კონკრეტულად სად ჩანს ან არ ჩანს კრიტერიუმით მოთხოვნილი გაგება;
   - პროცესზე უკუკავშირი სთავაზობს მოსწავლეს შესაძლო სტრატეგიას ან სხვა გზას სირთულის დასაძლევად;
   - თვითრეგულაციაზე უკუკავშირი უბრუნებს მოსწავლეს კრიტერიუმს და ეხმარება თავად შეაფასოს სხვაობა მის მიმდინარე და სასურველ მდგომარეობას შორის.
   - უკუკავშირის შემდეგ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა გადაამუშაოს ნამუშევარი, შეცვალოს სტრატეგია ან ახალი მტკიცებულება შექმნას. უკუკავშირი, რომელსაც გამოყენების შესაძლებლობა არ ახლავს, სრულად ვერ ასრულებს განმავითარებელ ფუნქციას.

   სწავლის მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებელი არეგულირებს კითხვებს, სკაფოლდინგს, რესურსს, ჯგუფირების ფორმას ან სხვა სასწავლო პირობას თავისი პროფესიული ქმედითობის ფარგლებში.
9. განმსაზღვრელი შეფასება აღწერს შუალედური მიზნის ბოლოს მიღწეულ მდგომარეობას. ის მიემართება სწავლის შედეგს და ემსახურება მოსწავლის ცნებითი გააზრების მიღწეული დონის დადგენას. იგი ეფუძნება იმავე კრიტერიუმებს, რომლებიც პროცესში განმავითარებლად გამოიყენებოდა, და შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლიობაზე დაფუძნებულ მასწავლებლის პროფესიულ განსჯას.
10. განმსაზღვრელი შეფასების რაოდენობა და ინტენსივობა უკავშირდება შუალედური მიზნების რაოდენობასა და სასწავლო წლის კალენდარს. სასწავლო წლის დასაწყისშივე ცნობილია, თუ რომელ საგანში, რა კრიტერიუმებით, რამდენჯერ და რა სავარაუდო პერიოდში დაიწერება განმსაზღვრელი ქულა - შუალედური მიზნების რაოდენობისა და კალენდრის შესაბამისად. მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს ეს ინფორმაცია წინასწარ აქვთ.

სასწავლო ციკლთან კავშირი: განმსაზღვრელი შეფასება კეთდება მაშინ, როდესაც მოსწავლეს ჰქონდა საკმარისი სასწავლო გამოცდილება, უკუკავშირი და საკუთარი გაგების წარმოჩენის შესაძლებლობა;
მტკიცებულებათა მრავალფეროვნება: საბოლოო პროფესიული განსჯა შეიძლება დაეყრდნოს წერილობით, ზეპირ, პრაქტიკულ, ციფრულ და სხვა შესაბამის მტკიცებულებებს, თუ ისინი კონკრეტულ კრიტერიუმს რეალურად პასუხობს;
განმსაზღვრელი შედეგი ასახავს თითოეული აქტიური კრიტერიუმის მიხედვით მიღწეულ გააზრების დონეს. V კლასიდან ეს დონეები გარდაიქმნება ქულით შეფასებად მე-11 მუხლით განსაზღვრული წესით.

11. განმსაზღვრელ ქულაში არ ერევა ქცევა, პროდუქტის დეკორატიული მხარე ან სხვა ფაქტორი, რომელიც კონკრეტული ცნებითი კრიტერიუმის ნაწილი არ არის.
12. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ერთი სისტემის ორი ფუნქციაა: პირველი ქმნის სწავლისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას, მეორე კი შესაბამისი სასწავლო ციკლის ბოლოს აფიქსირებს მიღწეულ მდგომარეობას.

მუხლი 11. შეფასების კრიტერიუმი და სქემა

1. ცნებითი გააზრების კრიტერიუმი იქმნება კონკრეტული შუალედური მიზნის ლოგიკიდან. იგი აერთიანებს აქტიურ სამიზნე ცნებას/ქვეცნებას, შესაბამის მასალას და იმ კოგნიტურ მოქმედებას, რომლის საშუალებითაც მოსწავლემ გაგება უნდა წარმოაჩინოს.
   პირველი ელემენტი - სამიზნე ცნება და ქვეცნებები: სამიზნე ცნება განსაზღვრავს გრძელვადიან საგნობრივ მიმართულებას, ხოლო ქვეცნება კონკრეტულ შუალედურ მიზანში აზუსტებს, ამ ცნების რომელი რაკურსი ხდება აქტიური. კრიტერიუმი იწერება ამ კონკრეტული რაკურსის მიხედვით და არა მხოლოდ ცნების ზოგადი სახელის გამეორებით.
   მეორე ელემენტი - კოგნიტური ოპერაცია: კრიტერიუმი ზუსტად ასახელებს იმ სააზროვნო მოქმედებას, რომელიც შესაბამის ცნებით გაგებას გამოავლენს. გამოიყენება საგნისა და ასაკისათვის ადეკვატური მოქმედებები - მაგალითად, შედარება, დაკავშირება, გაანალიზება, ახსნა, დასაბუთება, შეფასება. ერთ კრიტერიუმში, როგორც წესი, გამოიყენება არაუმეტეს ორი ძირითადი კოგნიტური ოპერაცია.
   მესამე ელემენტი - კონტექსტი: კრიტერიუმი უკავშირდება კონკრეტულ საკითხს/მასალას და საკვანძო კითხვით განსაზღვრულ ცნებით რაკურსს ისე, რომ შეფასების საგანი არ გახდეს მხოლოდ ფაქტობრივი მასალის რეპროდუქცია.
   - სამუშაო ფორმულაა: მოსწავლე + კოგნიტური მოქმედება + შესაბამისი მასალა/საკითხი + აქტიური ცნება/ქვეცნება + საჭიროებისამებრ საკვანძო ცნებითი კავშირი. ფორმულა არის დაგეგმვის საყრდენი და არა მექანიკური წინადადების შაბლონი. ეს ფორმულა უზრუნველყოფს, რომ კრიტერიუმი ყოველთვის იყოს ცნებაზე ორიენტირებული, ასახავდეს კონკრეტული საკითხის კონტექსტს და მოსწავლეს ნათლად მიუთითებდეს, თუ რა ხარისხის მსჯელობა მოეთხოვება მისგან.
2. ხუთდონიანი შეფასების სქემა თითოეული კრიტერიუმისთვის ცალ-ცალკე აღწერს იმავე ცნებითი გააზრების პროგრესიას. დონეები აღინიშნება 100% / 85% / 50% / 25% / 0%-ით. ეს პროცენტები გამოხატავს კონკრეტული კრიტერიუმის გააზრების დონეს და არა კრიტერიუმის წონას საერთო შეფასებაში.

100% - სიღრმისეული გააზრება: მოსწავლე დამოუკიდებლად და საფუძვლიანად იყენებს კრიტერიუმით მოთხოვნილ ცნებით კავშირებსა და კოგნიტურ მოქმედებებს, აკეთებს დასაბუთებულ განზოგადებას და, როდესაც კრიტერიუმი ამას მოითხოვს, გადააქვს გაგება ახალ კონტექსტში.

85% - არსებითი გააზრება: მოსწავლე დამოუკიდებლად და სწორად აანალიზებს/ხსნის/აფასებს კრიტერიუმით მოთხოვნილ საკითხს; ძირითადი ცნებითი კავშირები მკაფიოა, თუმცა განზოგადება ან ტრანსფერი შეიძლება ჯერ სრულად განვითარებული არ იყოს.

50% - იდეის დონეზე გააზრება: მოსწავლე ხედავს ძირითად იდეასა და ზოგიერთ შესაბამის კავშირს, მაგრამ მსჯელობა ნაწილობრივ ზედაპირული, არასრული ან არათანმიმდევრულია და საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას.

25% - ფრაგმენტული გააზრება: მოსწავლე ამოიცნობს ან ასახელებს ცალკეულ შესაბამის ელემენტებს, მაგრამ ჯერ ვერ აკავშირებს მათ კრიტერიუმით მოთხოვნილ ცნებით ურთიერთობასთან. ვერ ხსნის მათ კავშირს მასალასა და ცნებასთან და ვერ პასუხობს კითხვებს - „რატომ?“ და „როგორ?“.

0% - გააზრების პრობლემა: მოსწავლე ვერ ასახელებს საკითხთან დაკავშირებულ შესაბამის შინაარსს ან იყენებს სრულიად არავალიდურ, შეუსაბამო ინფორმაციას. კავშირი ცნებასა და კონკრეტულ საკითხს შორის საერთოდ არ იკვეთება. 0% გამოიყენება კონკრეტული კრიტერიუმისათვის და არ ნიშნავს მტკიცებულების არქონის ავტომატურ ჩანაცვლებას ქულით.

3. კრიტერიუმის წონა და ქულაში გარდაქმნა: I-IV კლასებში ხუთდონიანი სქემა გამოიყენება ცნებითი გააზრების აღწერისა და განმავითარებელი უკუკავშირისათვის და ქულად არ გარდაიქმნება. V კლასიდან მოქმედებს სკოლის 4+6 მოდელი: თითოეული შუალედური მიზნის აქტიური კრიტერიუმების ქულობრივი წონების ჯამი არის 6 ქულა.
4. კრიტერიუმის წონა ასახავს მის მნიშვნელობას კონკრეტულ შუალედურ მიზანში. წამყვან ცნებასთან დაკავშირებულ კრიტერიუმს, როგორც წესი, ენიჭება უფრო მაღალი წონა, ხოლო დამხმარე ან გამჭოლ კრიტერიუმს - შესაბამისი შედარებით ნაკლები წონა. წონა დგინდება კურიკულუმის დაპროექტებისას და არ იცვლება მოსწავლის ინდივიდუალური შედეგის მიხედვით.

   თუ დაგეგმვის სამუშაო ვერსიაში კრიტერიუმების მნიშვნელობა თავდაპირველად პროცენტებით არის წარმოდგენილი, V კლასიდან ოპერაციულ რუბრიკაში ეს პროცენტი გადაიყვანება 6-ქულიანი ნაწილის ქულად ფორმულით: კრიტერიუმის წონა = 6 × შედარებითი წონა / 100.

   მაგალითად, 45% / 30% / 25% განაწილება გადაიქცევა 2.7 / 1.8 / 1.5 ქულად. ოპერაციულ რუბრიკაში კრიტერიუმის სათაურთან მიეთითება ქულა და არა ეს შედარებითი პროცენტი.

   თითოეული კრიტერიუმისათვის მიღებული ქულა გამოითვლება ცალ-ცალკე: კრიტერიუმის მაქსიმალური წონა × მოსწავლის გააზრების დონე (1.00 / 0.85 / 0.50 / 0.25 / 0).
5. ამრიგად, 6 ქულა არის ყველა აქტიური კრიტერიუმის მაქსიმალური ჯამური წონა. იგი არ არის ერთიანი კრიტერიუმი და არ ნაწილდება მოსწავლეზე ავტომატურად; ქულა იქმნება თითოეული კრიტერიუმის გააზრების დონის ცალკეული გამოთვლითა და შემდგომი შეჯამებით.
6. ქულის გამოთვლისას პროცენტული მაჩვენებელი 100% / 85% / 50% / 25% / 0% გამოიყენება მხოლოდ კონკრეტული კრიტერიუმის გააზრების დონის კოეფიციენტად. მაგალითად, 2.7-ქულიან კრიტერიუმში 50%-იანი გააზრება უდრის 1.35 ქულას.

გააზრების დონე	კრიტერიუმის გააზრების კოეფიციენტი
სიღრმისეული გააზრება	100% (1.00)
არსებითი გააზრება	85% (0.85)

იდეის დონეზე გააზრება	50% (0.50)
ფრაგმენტული გააზრება	25% (0.25)
გააზრების პრობლემა	0% (0.00)

საოპერაციო მაგალითი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. მაგალითი აჩვენებს სამ კრიტერიუმს, რომელთა მაქსიმალური წონებია 2.7, 1.8 და 1.5 ქულა - ჯამურად 6 ქულა.

თუ მოსწავლე პირველ კრიტერიუმში აჩვენებს 85%-იან, მეორეში 50%-იან და მესამეში 100%-იან გააზრებას, კრიტერიუმული ქულები გამოითვლება თითოეული წონის შესაბამისი კოეფიციენტით.

კრიტერიუმი	მაქსიმალური წონა (ქულა)	გააზრების დონე	მიღებული ქულა
კრიტერიუმი 1 - წამყვანი	2.7	85%	2.295
კრიტერიუმი 2 - დამხმარე	1.8	50%	0.900
კრიტერიუმი 3 - გამჭოლი	1.5	100%	1.500
კრიტერიუმული ჯამი	6.0		4.695

საბოლოო ქულის გამოთვლა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა აქტიური კრიტერიუმის ქულა ცალ-ცალკე გამოითვლება და შეიკრიბება.

მაგალითში კრიტერიუმული ჯამია 4.695 ქულა. 4+6 მოდელის მიხედვით მას ემატება ტექნიკური საბაზისო 4: 4 + 4.695 = 8.695, რაც საბოლოო დამრგვალებით შეადგენს 9 ქულას.

7. 4+6 მოდელის ლოგიკა: 4 ქულა არის სკოლის 10-ქულიან სისტემაში კრიტერიუმული 0-6 დიაპაზონის 4-10 დიაპაზონში გარდაქმნის ტექნიკური საფუძველი და არა ცალკე სასწავლო კომპონენტი, ქცევის ქულა ან ავტომატური ჯილდო. მტკიცებულების არარსებობა არ უნდა ჩანაცვლდეს ავტომატური 4 ქულით; განმსაზღვრელი შეფასება კეთდება მხოლოდ მაშინ, როდესაც პროფესიული განსჯისთვის საკმარისი მტკიცებულება არსებობს.

კრიტერიუმული ჯამი (0-6)	საბოლოო ქულა 4+6 მოდელში
0.00-0.49	4
0.50-1.49	5
1.50-2.49	6
2.50-3.49	7
3.50-4.49	8
4.50-5.49	9
5.50-6.00	10

დამრგვალება ხორციელდება საბოლოო 10-ქულიან შედეგზე: 0.5 და მეტი მრგვალდება ზემოთ, 0.5-ზე ნაკლები - ქვემოთ. ცალკეული კრიტერიუმების შუალედური მნიშვნელობები ინახება საჭირო სიზუსტით და წინასწარ არ მრგვალდება, რათა არ დამახინჯდეს საბოლოო შედეგი.

სქემის საოპერაციო პრინციპებია:
დონეების აღწერა: თითოეულ კრიტერიუმს აქვს ხუთი ხარისხობრივი დონე - 100%, 85%, 50%, 25% და 0%. დონეების აღწერა კონკრეტდება ამ კრიტერიუმის ცნებით შინაარსსა და მასალაზე; ისინი არ წარმოადგენს 5-10 ქულების ცალკე სიტყვიერ ჩამონათვალს.
ერთი კრიტერიუმი - ორი ფუნქცია: იგივე კრიტერიუმი და იგივე ხუთდონიანი სქემა გამოიყენება განმავითარებელ რეჟიმში როგორც „სარკე“ და განმსაზღვრელ რეჟიმში როგორც „საზომი“. განმავითარებელ პროცესში დონე შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს; განმსაზღვრელი შედეგი ასახავს შუალედური მიზნის ბოლოს მტკიცებულებათა ერთობლიობით დადგენილ მიღწეულ მდგომარეობას.

მუხლი 12. შეფასების სუბიექტები

1. შეფასების პროცესში განსხვავებული როლი აქვს მასწავლებელს, მოსწავლესა და თანატოლს. ეს როლები ურთიერთშემავსებელია, მაგრამ მათი უფლებამოსილება ერთნაირი არ არის: ოფიციალურ განმსაზღვრელ შეფასებაზე საბოლოო პროფესიულ პასუხისმგებლობას მასწავლებელი იღებს.
   მასწავლებელი - პროფესიული შემფასებელი და სასწავლო დიზაინის ავტორი: განმავითარებელ რეჟიმში მასწავლებელი აგროვებს და აანალიზებს მტკიცებულებებს, აძლევს უკუკავშირს და საჭიროებისამებრ ცვლის სასწავლო მხარდაჭერას; განმსაზღვრელ რეჟიმში კი შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე ადგენს თითოეული კრიტერიუმის მიღწეულ დონეს. მოსწავლეთა საერთო სურათი ასევე გამოიყენება საკუთარი პედაგოგიური დიზაინის თვითრეფლექსიისთვის.
   მოსწავლე - თვითშეფასების აქტიური სუბიექტი: მოსწავლე იყენებს კრიტერიუმს საკუთარი ნამუშევრისა და სწავლის პროცესის გასააზრებლად. თვითშეფასება მოიცავს:
   - პირველი - საკუთარი მტკიცებულების კრიტერიუმთან შედარებას და მიმდინარე მდგომარეობის განსაზღვრას;
   - მეორე - გამოყენებული სააზროვნო სტრატეგიებისა და მიღებული უკუკავშირის რეფლექსიას;
   - მესამე - მომდევნო ნაბიჯის განსაზღვრას და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მისი პრაქტიკაში გამოყენებას.

   თანატოლი - ურთიერთშეფასების მონაწილე: თანატოლი კრიტერიუმზე დაყრდნობით აძლევს მოსწავლეს აღწერით უკუკავშირს და ეხმარება მას საკუთარი ნამუშევრის სხვა პერსპექტივიდან დანახვაში. ურთიერთშეფასება არ ნიშნავს თანაკლასელისთვის ოფიციალური ქულის მინიჭებას და უნდა განხორციელდეს უსაფრთხო, კონსტრუქციულ და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოში.
2. მასწავლებლის, მოსწავლისა და თანატოლის მონაწილეობა ერთსა და იმავე კრიტერიუმზეა ორიენტირებული: მასწავლებელი უზრუნველყოფს პროფესიულ განსჯასა და ფასილიტაციას, მოსწავლე - თვითრეგულაციას, თანატოლი კი - დამატებით პერსპექტივასა და უკუკავშირს.

მუხლი 13. შეფასება და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები

1. სკოლა უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა თითოეულ მოსწავლეს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეს, აძლევდეს საკუთარი გაგების წარმოჩენის რეალურ შესაძლებლობას შესაბამისი მხარდაჭერის პირობებში.
2. ცნებებზე დაფუძნებული კურიკულუმის ინკლუზიური გამოყენება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
   პირველი - საერთო ცნებითი მიმართულება: მოსწავლე მუშაობს კლასის შესაბამის სამიზნე ცნებებსა და გრძელვადიან გაგებებზე, ხოლო ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მისთვის საჭირო ადაპტაციასა და მისაღწევ კონკრეტულ დონეს;
   მეორე - ფუნქციური დიფერენცირება: შეიძლება შეიცვალოს დავალების ფორმა, წარდგენის გზა, რესურსი, დრო, სკაფოლდინგი ან სხვა სამუშაო პირობა ისე, რომ შეფასების ცნებითი ფოკუსი მაქსიმალურად შენარჩუნდეს;
   მესამე - უწყვეტი განმავითარებელი უკუკავშირი: მოსწავლის მიმდინარე მტკიცებულებები გამოიყენება ინდივიდუალური მხარდაჭერისა და სასწავლო პირობების რეგულირებისთვის.
3. სსსმ მოსწავლის შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და მოქმედი სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება კრიტერიუმის ენა, მტკიცებულების ფორმა და სამუშაო პირობები; ცვლილება წინასწარ უნდა იყოს დაკავშირებული მოსწავლის ინდივიდუალურ მიზანთან და არა თვითნებურ სტანდარტის შემცირებასთან.
4. შეფასების ადაპტაცია შეიძლება მოიცავდეს:
   შემოქმედებითი/ავთენტური დავალების ფორმატის ან წარდგენის გზის შეცვლას;
   დამატებითი დროის ან შესვენების განსაზღვრას;
   დამხმარე ტექნოლოგიის, ალტერნატიული კომუნიკაციის ან სხვა შესაბამისი რესურსის გამოყენებას;
   კრიტერიუმის ენისა და ინსტრუქციის გამარტივებას, ცნებითი ფოკუსისა და ინდივიდუალური სასწავლო მიზნის შენარჩუნებით.
5. ადაპტაციის მიზანია შეფასებამ გაზომოს ის, რის გაზომვაც არის განზრახული, და არასასწავლო ბარიერმა არ დამალოს მოსწავლის რეალური გაგება. დეტალური პროცედურები განისაზღვრება ინკლუზიური განათლების პოლიტიკითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

თავი III. შეფასების ინსტრუმენტი და წარმოება

მუხლი 14. შეფასების მტკიცებულებები

1. მტკიცებულება არის მოსწავლის მოქმედება, ნამუშევარი, პასუხი ან დაკვირვებადი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს კონკრეტული კრიტერიუმის გააზრების დონეზე დასაბუთებული პროფესიული დასკვნა გააკეთოს.
   ერთი ნამუშევარი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მტკიცებულება, მაგრამ განმსაზღვრელი დასკვნა, როგორც წესი, ეფუძნება შუალედური მიზნის განმავლობაში დაგროვილი შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლიობას. ეს ამცირებს შემთხვევითი გარემოების გავლენას და უკეთ აჩვენებს მოსწავლის სტაბილურ გაგებას.
2. შესაძლო მტკიცებულებებია:
   შესრულებაზე დაფუძნებული/ავთენტური დავალება - კომპლექსური მტკიცებულება, რომელშიც მოსწავლე კონკრეტულ კონტექსტში იყენებს ცოდნას, ცნებებსა და უნარებს;

წერილობითი ნამუშევარი - მაგალითად, ანალიტიკური ტექსტი, არგუმენტირებული პასუხი, ჩანაწერი, მონაცემთა ან წყაროს ანალიზი ან რეფლექსია;

ზეპირი მტკიცებულება - მაგალითად, არგუმენტირებული პასუხი, დისკუსია, პრეზენტაცია, ახსნა ან ზეპირი დაცვა;

სისტემური დაკვირვება - მოსწავლის მსჯელობაზე, მოქმედებაზე, სტრატეგიებსა და კრიტერიუმთან დაკავშირებულ არჩევანზე მიზნობრივი დაკვირვება სასწავლო პროცესში;

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება - დამატებითი მტკიცებულება მოსწავლის მეტაკოგნიციისა და კრიტერიუმის გააზრების შესახებ; ისინი არ ანაცვლებს მასწავლებლის საბოლოო პროფესიულ განსჯას.

3. მტკიცებულებათა შერჩევისას დაცულია მრავალწყაროიანობის პრინციპი:
   - სხვადასხვა მოსწავლემ შეიძლება საკუთარი გაგება განსხვავებული ფორმით უკეთ წარმოაჩინოს;
   - ერთი ფორმა ყოველთვის ვერ აჩვენებს კონკრეტული კრიტერიუმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს;
   - რამდენიმე შესაბამისი წყაროს შეჯერება ზრდის დასკვნის სანდოობას და ამცირებს ერთჯერადი გარემოების გავლენას.
4. განმსაზღვრელი შეფასება ეფუძნება მტკიცებულებათა ერთობლიობაზე დაყრდნობილ მასწავლებლის პროფესიულ განსჯას. საბოლოო პროდუქტი მნიშვნელოვანი წყაროა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მას ავსებს შუალედური ნამუშევარი, ზეპირი განმარტება, დაკვირვება ან სხვა მტკიცებულება. თითოეული კრიტერიუმის დონე უნდა დასტურდებოდეს მისთვის რელევანტური მტკიცებულებით.

მუხლი 15. შეფასების ინსტრუმენტის შექმნა

1. შეფასების ინსტრუმენტი აერთიანებს სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: ცნებითი გააზრების კრიტერიუმს, ამ კრიტერიუმის ხუთდონიან სქემას და იმ დავალებას/მტკიცებულების კონტექსტს, რომელშიც მოსწავლე გაგებას წარმოაჩენს. ინსტრუმენტის ვალიდურობა დამოკიდებულია მათ თანხვედრაზე.
2. უკუდაგეგმვის ლოგიკით შეფასების ინსტრუმენტი იქმნება სასწავლო აქტივობების დეტალური დაგეგმვამდე:
   - პირველი - განისაზღვრება სასურველი შედეგი: სამიზნე ცნება, გააქტიურებული ქვეცნება, მყარი გაგება და საკვანძო კითხვა;
   - მეორე - განისაზღვრება, რა მტკიცებულება და რომელი ცნებითი გააზრების კრიტერიუმი დაადასტურებს ამ შედეგის მიღწევას; თითოეულ კრიტერიუმს იქმნება შესაბამისი ხუთდონიანი სქემა;
   - მესამე - იქმნება ავთენტური/შემოქმედებითი დავალების პირობა და მტკიცებულებების რუკა, რომელიც მოსწავლეს კრიტერიუმით მოთხოვნილი გაგების წარმოჩენის რეალურ შესაძლებლობას აძლევს;
   - მეოთხე - იგეგმება სასწავლო გზა: მასალა, კითხვები, აქტივობები, სკაფოლდინგი, რესურსები, შუალედური მტკიცებულებები და უკუკავშირის გამოყენების შესაძლებლობები.
3. კრიტერიუმის ვალიდურობის შემოწმებისას ის პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- ჩანს თუ არა კონკრეტული აქტიური სამიზნე ცნება/ქვეცნება და შესაბამისი საგნობრივი რაკურსი?
- ითხოვს თუ არა კრიტერიუმი ისეთი კოგნიტური მოქმედებით გაგების წარმოჩენას, რომელიც ცნების შეფასებისთვის შესაბამისია, და ხომ არ ერევა მასში პროდუქტის ფორმა, ქცევა ან სხვა არარელევანტური ფაქტორი?
- არის თუ არა კრიტერიუმი ასაკისთვის გასაგები და საკმარისად კონკრეტული, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი მტკიცებულების მასთან შედარება?

4. ინსტრუმენტის შექმნა და ვალიდაცია თანამშრომლობითი პროფესიული პროცესია. შესაბამის საგნობრივ გუნდში მასწავლებლები ამოწმებენ კრიტერიუმის, სქემისა და დავალების თანხვედრას, თუმცა თითოეული მასწავლებელი საკუთარ კლასში გამოყენებული ინსტრუმენტის პროფესიულ პასუხისმგებლობას ინარჩუნებს.
    - კოლეგიური განხილვა ზრდის კრიტერიუმის სიზუსტეს და ეხმარება გუნდს განსხვავებული ინტერპრეტაციების წინასწარ დანახვაში;
    - საერთო სქემა და მოდერაცია ხელს უწყობს შეფასების შეთანხმებულობას სხვადასხვა კლასსა და მასწავლებელს შორის;
    - კრიტერიუმებზე ერთობლივი მუშაობა არის პროფესიული ცოდნის სოციალური კონსტრუირების ერთ-ერთი ფორმა და ქმნის ინსტიტუციური სწავლის რესურსს.

თავი IV. შეფასების ვერიფიკაცია

მუხლი 16. ვერიფიკაციის მიზანი და ფილოსოფია

1. შეფასების ვერიფიკაცია არის იმის სისტემური შემოწმება, რამდენად ვალიდურად, თანმიმდევრულად, სამართლიანად და სანდოდ მუშაობს შეთანხმებული შეფასების დიზაინი პრაქტიკაში. იგი არ წარმოადგენს მასწავლებლის ვერტიკალურ ინსპექტირებას და ინტეგრირებულია კურიკულუმისა და ხარისხის განვითარების საერთო პროცესში.
    - პირველი ფუნქცია - შეფასების ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების ხარისხის შემოწმება;
    - მეორე ფუნქცია - შეფასების მტკიცებულებების გამოყენება კურიკულუმისა და სასწავლო დიზაინის ეფექტიანობის გასააზრებლად. ეს ორი ფუნქცია დაკავშირებულია, რადგან შეფასება კურიკულუმის ნაწილია.
2. ვერიფიკაციის მთავარი კითხვა არის: რამდენად გვაძლევს შეფასების სისტემა სანდო ინფორმაციას მოსწავლის ცნებითი გააზრების შესახებ და რამდენად ეხმარება ეს ინფორმაცია სწავლისა და სასწავლო დიზაინის გაუმჯობესებას?
3. ვერიფიკაცია ეფუძნება მასწავლებლის ინდივიდუალურ თვითრეფლექსიას, კოლეგიურ ანალიზს, მოდერაციას, მოსწავლის პერსპექტივასა და სხვა შესაბამის მტკიცებულებებს. ეს საქმიანობა დაკავშირებულია ხარისხის განვითარების ერთიან ხუთეტაპიან ციკლთან და არ ქმნის პარალელურ ხარისხის მართვის სისტემას.
4. სამუშაო შეხვედრები წარმოადგენს კოლეგიური ვერიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად სივრცეს. შეფასება მათზე განიხილება კურიკულუმის სხვა ელემენტებთან კავშირში - მიზანი, კრიტერიუმი, დავალება, მტკიცებულება, სასწავლო ნაბიჯები, რესურსი და შედეგი.

5. შეფასების ვერიფიკაციის შედეგი შეიძლება იყოს არსებული დიზაინის შენარჩუნება, ფორმულირების დაზუსტება, ოპერატიული კორექტირება ან მტკიცებულებით დასაბუთებული რე-დიზაინის ინიცირება.

მუხლი 17. ვერიფიკაციის საგანი და ინდიკატორები

1. ვერიფიკაცია ხუთ ძირითად მიმართულებას მოიცავს. თითოეული მიმართულება მოწმდება არსებული სასწავლო და პროფესიული პროცესების ფარგლებში და დამატებითი ფორმა იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული მტკიცებულება საკმარისი არ არის.
   ვალიდურობა: კრიტერიუმი შეესაბამება აქტიურ ცნებას/ქვეცნებასა და სასურველ გაგებას; დავალება და სხვა მტკიცებულებები რეალურად აძლევს მოსწავლეს ამ გაგების წარმოჩენის შესაძლებლობას; V კლასიდან კრიტერიუმების ქულობრივი წონები ჯამურად შეადგენს 6 ქულას და ასახავს კრიტერიუმების მნიშვნელობას კონკრეტულ შუალედურ მიზანში.
   გამჭვირვალობა: მოსწავლე წინასწარ იცნობს კრიტერიუმებს, თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებულ ხუთდონიან სქემას და, V კლასიდან, ქულობრივ წონებს; განმსაზღვრელი შეფასების დრო და ძირითადი პირობებიც წინასწარ არის ცნობილი.
   სამართლიანობა: მოსწავლეებს აქვთ ცნებითი გააზრების წარმოჩენის შესაბამისი შესაძლებლობები; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დიფერენცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული ადაპტაცია.
   ობიექტურობა: პროფესიული შეფასება ეფუძნება შეთანხმებულ კრიტერიუმსა და მტკიცებულებას; საჭიროებისას მოდერაცია გამოიყენება განსხვავებული ინტერპრეტაციების დასადგენად და საერთო სტანდარტის დასაზუსტებლად.
   სანდოობა: თითოეული განმსაზღვრელი შედეგი დაკავშირებულია საკმარის და იდენტიფიცირებად მტკიცებულებასთან; მტკიცებულებათა შენახვა და წვდომა ხორციელდება ფუნქციური საჭიროებისა და მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 18. ვერიფიკაციის 5 მექანიზმი

1. ვალიდაცია და ვერიფიკაცია განსხვავებული, მაგრამ დაკავშირებული პროცესებია. ვალიდაცია წინასწარ ამოწმებს შეფასების დიზაინის შესაბამისობას სასურველ შედეგთან; ვერიფიკაცია კი განხორციელებისას და შემდეგ სწავლობს, როგორ იმუშავა ამ დიზაინმა პრაქტიკაში. ქვემოთ აღწერილი ხუთი მექანიზმი მოქმედებს სკოლის ხარისხის განვითარების ერთიანი ხუთეტაპიანი ციკლის ფარგლებში და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მეორე ციკლს.
   მექანიზმი 1 - ინდივიდუალური თვითრეფლექსია: შუალედური მიზნის განმავლობაში და მის დასრულების შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლე საკუთარი როლიდან აანალიზებენ შეფასების პროცესს.
   - მასწავლებლის თვითრეფლექსია: მასწავლებელი აკვირდება, რამდენად ზუსტად მუშაობდა კრიტერიუმი, რამდენად შესაბამისი იყო დავალება და მტკიცებულებები, რა ტიპის სირთულეები გამოიკვეთა და რა ცვლილება შეიძლება გახდეს საჭირო. ოპერატიული ცვლილება შესაძლებელია პროფესიული ავტონომიის ფარგლებში; ისეთი ცვლილება, რომელიც შეთანხმებულ კრიტერიუმს ან საერთო სისტემას ეხება, გადადის შესაბამის კოლეგიურ ვალიდაციაზე.

- მოსწავლის რეფლექსია: მოსწავლე აფასებს, რამდენად გასაგები იყო კრიტერიუმი, რამდენად დაეხმარა უკუკავშირი და რა შეიცვალა მის გაგებაში. მოსწავლის პერსპექტივა არის ვერიფიკაციის ერთ-ერთი წყარო და სხვა მტკიცებულებებთან ერთად განიხილება.

მექანიზმი 2 - კოლეგიური ანალიზი და მოდერაცია: შესაბამის სამუშაო შეხვედრებზე პროფესიული გუნდი საჭიროების მიხედვით განიხილავს:

- მოსწავლეთა ნამუშევრებსა და სხვა კონკრეტულ მტკიცებულებებს;
- მოდერაციის შედეგებს, როდესაც რამდენიმე მასწავლებელი დამოუკიდებლად აფასებს ერთსა და იმავე ან ეკვივალენტურ მტკიცებულებას;
- ციფრული ან სხვა ანალიტიკური ინსტრუმენტებით გამოვლენილ ტენდენციებს, როგორც პროფესიული მსჯელობის საწყის მასალას;
- კრიტერიუმების, დავალებების, სასწავლო ნაბიჯებისა და რესურსების შესაძლო კავშირებს მიღებულ შედეგებთან;
- საჭირო ოპერატიულ ცვლილებებს ან საკითხებს, რომლებიც უფრო ფართო რე-დიზაინს მოითხოვს.

კოლეგიური ანალიზის ძირითადი კვანძები განისაზღვრება სკოლის განვითარების ერთიანი წლიური კალენდრით:

- ივნისის მეორე-მესამე კვირა - წლიური ანალიზი და სინთეზი: მუშავდება სასწავლო წლის მტკიცებულებები, მოსწავლეთა უკუკავშირი და სისტემური ტენდენციები; განისაზღვრება, რა უნდა შენარჩუნდეს, რა საჭიროებს დაზუსტებას და სად არის რე-დიზაინის საფუძველი.
- სექტემბრის დასაწყისი - სასტარტო ვალიდაცია: მოწმდება ახალი სასწავლო წლის შეფასების კრიტერიუმები, ხუთდონიანი სქემები, V კლასიდან ქულობრივი წონები და შეფასების კალენდარი;
- ნოემბრის პირველი კვირა - პირველი ფორმატიული ანალიზი: განიხილება პირველი შუალედური მიზნებიდან მიღებული მტკიცებულებები, საჭიროების შემთხვევაში ტარდება მოდერაცია და განისაზღვრება ოპერატიული მხარდაჭერა;
- დეკემბრის ბოლო - სემესტრული ანალიზი: იკრიბება პირველი სემესტრის საერთო სურათი და მოსწავლის პერსპექტივა; საჭიროების შემთხვევაში ზუსტდება მეორე სემესტრის სასწავლო ან შეფასების დიზაინის ცალკეული ელემენტები;
- მარტის პირველი კვირა - მეორე ფორმატიული ანალიზი: მოწმდება მიმდინარე ცვლილებების ეფექტი, ახალი ტენდენციები და დამატებითი პროფესიული საჭიროებები;
- ივნისის მეორე-მესამე კვირა - წლიური ანალიზი: ციკლი სრულდება შედეგების სინთეზით და მომდევნო სასწავლო წლისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილებების მომზადებით.

მექანიზმი 3 - მოსწავლის პერსპექტივის სისტემური შეგროვება: გამოკითხვა ან სხვა შესაფერისი ფორმა გამოიყენება იმის გასაგებად, როგორ აღიქვამს მოსწავლე შეფასების პროცესს. ძირითადი მიმართულებებია:

- კრიტერიუმების გამჭვირვალობა - რამდენად ესმოდა მოსწავლეს, რა გაგებაზე მუშაობდა და როგორ გამოიყურებოდა ხარისხობრივი დონეები;
- შეფასების სამართლიანობა - რამდენად შეესაბამებოდა მოსწავლის აღქმაში მიღებული შეფასება წინასწარ ცნობილ კრიტერიუმებსა და მის მიერ შექმნილ მტკიცებულებებს;
- უკუკავშირის სასარგებლობა - რამდენად ეხმარებოდა უკუკავშირი ნამუშევრის, აზროვნების ან სამუშაო სტრატეგიის გაუმჯობესებაში.

მოსწავლის პერსპექტივა სხვა მტკიცებულებებთან ერთად გამოიყენება კოლეგიურ ანალიზში. იგი არც ავტომატური დასკვნაა და არც ფორმალური კმაყოფილების მაჩვენებელი.

მექანიზმი 4 - წლიური სინთეზი და გადაწყვეტილება: ივნისის ანალიზში შეფასების სისტემის მიგნებები უკავშირდება კურიკულუმის, პროფესიული პრაქტიკისა და სხვა სასკოლო პროცესების საერთო სურათს.

- პირველი ფუნქცია - განვლილი წლის შეფასების დიზაინისა და პრაქტიკის შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- მეორე ფუნქცია - მომდევნო წლისთვის იმ საკითხების გამოკვეთა, რომლებიც შენარჩუნებას, დაზუსტებას ან რე-დიზაინს საჭიროებს.

წლიური სინთეზი პასუხობს პრაქტიკულ კითხვებს: რომელი კრიტერიუმები და სქემები მუშაობდა ვალიდურად; სად იყო შეფასების არათანმიმდევრულობა; რა გვიჩვენა მოსწავლეთა მტკიცებულებებმა სასწავლო დიზაინის შესახებ; და რომელი ცვლილება არის საკმარისად დასაბუთებული მომდევნო ციკლისთვის.

მექანიზმი 5 - მიზნობრივი რე-დიზაინი: ივლისსა და აგვისტოში ცვლილება ხორციელდება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა საჭიროებაც წლიური ანალიზით გამოიკვეთა. საჭიროების მიხედვით მუშავდება კრიტერიუმი, სქემა, ქულობრივი წონა, დავალება, კალენდარი ან სხვა დაკავშირებული ელემენტი; უცვლელი რჩება ის ნაწილი, რომლის ვალიდურობა მტკიცებულებებმა დაადასტურა.

მუხლი 19. მონაცემთა ციფრული შეგროვება და ანალიტიკური პლატფორმა

1. შეფასების მონაცემები ინახება სკოლის მოქმედ ციფრულ სასწავლო და საინფორმაციო სისტემაში, ამჟამად Schoolbook-ში, ან სხვა დამტკიცებულ ინსტრუმენტში, ფუნქციური საჭიროების, ტექნიკური შესაძლებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ციფრულ სისტემაში აისახება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება მოსწავლის სწავლის, შეფასების, კურიკულუმის ან აუცილებელი ანგარიშვალდებულებისათვის. ერთი და იმავე მონაცემის პარალელურ სისტემებში განმეორებით შეყვანა არ მოითხოვება, თუ ამას სამართლებრივი ან ტექნიკური აუცილებლობა არ განსაზღვრავს.
3. ავტომატიზებული ანალიტიკური ინსტრუმენტის არსებობის შემთხვევაში მისი შედეგი წარმოადგენს პროფესიული მსჯელობის საწყის მასალას და არა შეფასების ან გადაწყვეტილების ავტომატურ საფუძველს.
4. ციფრულ მონაცემებზე წვდომა განისაზღვრება ფუნქციური საჭიროებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპით. კოლეგიურ ანალიზში მგრძნობიარე ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ საჭირო მოცულობით და, სადაც შესაძლებელია, განზოგადებული ან ანონიმიზებული ფორმით.
5. მონაცემის ინტერპრეტაციას ახორციელებენ შესაბამისი პროფესიონალები. ალგორითმი ან ანალიტიკური სისტემა შეიძლება დაეხმაროს ტენდენციის აღმოჩენას, მაგრამ ვერ განსაზღვრავს მის მიზეზს ან საჭირო საგანმანათლებლო გადაწყვეტილებას ადამიანის პროფესიული განსჯის გარეშე.
6. სკოლის ერთიანი მონაცემთა გარემო უნდა იძლეოდეს საგნის, კლასის, საფეხურის, კრიტერიუმისა და დროის მიხედვით საჭირო ანალიზის შესაძლებლობას შესაბამისი წვდომის უფლებების ფარგლებში. იგი არ არის ავტომატურად ღია ყველა თანამშრომლისთვის; წვდომა შეესაბამება ფუნქციასა და მონაცემთა დაცვის წესებს.

მუხლი 20. მრავალი წყაროს შეჯერება და საკოორდინაციო გუნდის როლი

1. საბოლოო პროფესიული ან ინსტიტუციური დასკვნა, როდესაც საკითხის ბუნება ამას მოითხოვს, ეფუძნება რამდენიმე წყაროს შეჯერებას. შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსწავლის ნამუშევრები და შეფასების მონაცემები, თვითშეფასება და რეფლექსია, მოსწავლის/მშობლის უკუკავშირი, კოლეგიური დაკვირვება, ციფრული ჩანაწერები და სხვა შესაბამისი მტკიცებულებები. ყველა წყაროს ერთნაირი წონა არ აქვს; მათი მნიშვნელობა განისაზღვრება კონკრეტული კითხვითა და სანდოობით.
2. სასკოლო პროცესების განვითარების საკოორდინაციო გუნდის როლი არის ფასილიტაციური, ინტეგრაციული და მხარდამჭერი. გუნდი ეხმარება სხვადასხვა წყაროდან მიღებული მიგნებების დაკავშირებას, კოლეგიური ანალიზის მომზადებასა და საკითხის სხვა სასკოლო პროცესებთან კავშირის დანახვას. იგი არ არის ინდივიდუალური მასწავლებლის ვერტიკალური შემფასებელი და არ ანაცვლებს მასწავლებლის ან სხვა უფლებამოსილი პირის პროფესიულ, სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 21. დოკუმენტირება - მინიმალიზმის პრინციპი

1. შეფასების ვალიდაცია და ვერიფიკაცია ეფუძნება დოკუმენტირების მინიმალიზმის პრინციპს: ახალი ფორმა ან ანგარიში არ იქმნება, როდესაც საჭირო ინფორმაცია უკვე სანდოდ არსებობს კურიკულუმში, მოსწავლის მტკიცებულებაში, მოქმედ ციფრულ სისტემაში ან კოლეგიური განხილვის ჩანაწერში.
2. ინსტიტუციურ მეხსიერებაში ინახება ის გადაწყვეტილება, მიგნება, ცვლილება ან სამუშაო დიზაინი, რომლის შემდგომი გაგება და გამოყენება სხვა პროფესიონალს ან გუნდს შეუძლია. დოკუმენტირება ემსახურება სწავლასა და პასუხისმგებლობის სიცხადეს და არ უნდა გადაიზარდოს პარალელურ ბიუროკრატიულ ანგარიშგებაში.

მუხლი 22. ვერიფიკაცია და მასწავლებლის პროფესიული განვითარება

1. ვერიფიკაცია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ერთ-ერთი წყაროა, რადგან იგი აძლევს შესაძლებლობას შეადაროს საკუთარი ინტერპრეტაცია კოლეგების ხედვას, გადაამოწმოს კრიტერიუმის გამოყენება და მოსწავლეთა მტკიცებულებებიდან მიიღოს ინფორმაცია სასწავლო დიზაინის შესახებ. მოდერაცია ამ პროცესის ერთ-ერთი პრაქტიკული ფორმაა.
2. ვერიფიკაციისა და თვითრეფლექსიისას მასწავლებელი შეიძლება დაეყრდნოს სამ ძირითად კითხვას:
   - „ჩემი კრიტერიუმი და მტკიცებულება ნამდვილად აჩვენებს იმ ცნებით გააზრებას, რომლის განვითარებასაც ვგეგმავდი?“
   - „რამდენად თანმიმდევრულად ვიყენებ შეთანხმებულ კრიტერიუმსა და ხუთდონიან სქემას და რას მაჩვენებს კოლეგებთან მოდერაცია?“
   - „რას მეუბნება მოსწავლეთა მტკიცებულებების საერთო სურათი ჩემს სასწავლო დიზაინზე და რა უნდა შევინარჩუნო, დავაზუსტო ან შევცვალო?“

   ამ კითხვებზე ინდივიდუალური და კოლეგიური პასუხები პროფესიული სწავლის ნაწილია. მნიშვნელოვანი მიგნება, რომლის გამოყენებაც სხვა მასწავლებელს ან გუნდს შეუძლია, საჭიროებისამებრ ხდება ინსტიტუციური მეხსიერების ნაწილი.